8 ივნისი, 1908 წ. ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

ი ე რ ი შ ი.

განცხრომ-ს ძეთა სასოებას, დარბაზს დიდებულს,
სიჩუმე ფლობდა ხმა ისმოდა შიგ მხოლოდ ერთის,
„საქმიანობას“ გაეჩინა იქ მკვიდრი ბინა,
ყველას ალხენდა „მყუდროება“: წყალობა ღმერთის!

აჩრდილად იდგა საშიშარი ახლო წარსული,
ახსოვდათ მისი შემმუსრავი: „ხატი და ჯვარი“,
კმაყოფილებით შესცქეროდენ მათ დიად სახეს,
ნიშნათ მადლობის არვის შურდა აქაც „ქანქარი!

მაგრამ იქ... იქ, მან დაანძრია ცოდვილი ენა,
სთქვა: „უჩვენოოაც თავს იხსნიან მძლეთა მძლენიო,
სხვები რომ ძლება ის არ კმარა, რომ კიდევ მათაც
არ შესთავაზოთ სხვის ნაშრომი, ოფლ ნადენიო?“

ასტყდა ყიჟინა: „დაიკარგე მაწანწალაო,
აქ რა ბინა გაქვს, სადა გდიხარ საძაგელიო?
მუშტის ღირსია, აბა ბიჭო მიცხეთ მაგასო
ჰხედავთ არა სწამს წმინდანების საწადელიო?..

რ. ლეჩხუმელი.



ხატების „თაყვანისმცემელთა“ იერიში.

*
* *

განთიადი
ის დიადი
სხივ გაშლილი კაშკაშებდა,
ცის კიდური
შუქ-გასხმული
ვარდის ფერათ ელვარებდა!
და წყვდიადი
გულ-ზვიადი
სამუდამოთ გვშორდებოდა:
სულს ღაფავდა,
ძალს კარგავდა,
შავ ჯურღმულ'ში ეშვებოდა.
თენდებოდა!
ყველა გრძნობდა
სიხარულს და ნეტარებას
და ძალთა ძალს,
ვით ნატვრის თვალს,
უმღეროდა „ქებათ ქებას"...
მაგრამ ავი
კუპრებ შავი
ღრუბელი კვლავ გაიშალა:
დაიფარა
ცის კამარა
და გამეფდა ბნელი ძალა.
ბოროტ-სული
წყეულ-კრული
კვლავ მიეცა ნეტარებას:
ხარობს ლხინობს
კრიმანჯულობს..
თან ავრცელებს ბოროტებას.
და ვინც გულით
აგზნებულით
სინათლისკენ მიილტოდა,
გმობდა ბნელსა
საზარელსა,
გაბედულათ მიიბრძოდა,—
დევნის, სტანჯავს,
ჯვარზე აკრავს,
ასმენს ნაღველს, შხამს, სამსალას,
გულს უგმირავს,
სისხლს უყინავს,
სიცოცხლისას აცლის ძალას...
მაგრამ მოვა
დრო, ამოვა
ჩვენს ცაზე კვლავ განთიადი
და თვის ისრებს
სტყორცნის ღრუბლებს...
გათენდება დღე დიადი!

მზე შუქ-მფენი
სანატრელი
გაშლის სხივებს სინეტაროს.
გაანათებს
გაანათლებს
ზესკნელ-ქვესკნელს, მთელ სამყაროს!..
მაშ ჩვენც მისკენ,
სინათლისკენ,
გავსწიოთ ქედ-მოუხრელათ,
დავგმოთ ბნელი
საზარელი
მოვლენილი ჩვენდა მწყველელათ.
და ბოროტ-სულს
შეჩვენებულს
მხნედ ვებრძოლოთ გაბედულად,
ვიდრე საფლავს
ცივსა და შავს
არ გაუთხრით იმას სრულად!!

ვ. ჩახრუხაძე.



სოფლელი პატარა ქალი.

I.

ფეხტიტველა, ულეჩქო, თავდა,
დაწანწალებს დილიდან სადამამდის,
მუდამ შრომობს და მუდამვე მას შია,
ამ გრძნობასთვის სიმწრით სული ამოსდის.
ეი თავზე დაუდვია მოკრული
დიდი ფუთა სავსე ბოლის ფოთლითა,
სამძიმის ქვეშ სწრაფად უტეხს მას გული,
მაინც ჩქარის, სულ სვლია ოფლითა.
ჩქარის, სახლში ადრე უნდა მივიდეს,
„ობის მატდს ამ ფოთლებით აბურებს,
ამ საქმეში ბებოს შვებას უდიდეს,
უვდის ბიებს და იმედით შეეურებს!
გულშა იფლებს იგი ტკბილ განზრახვებსა,
ოცნებაში მეობადს ეალერსება,

როს ზარგები დაჭკუწავენ ცხენებსა
და მჯიღები ფულებით ავსებენ:
შეიკერავს იგი დამაზ კაბასა,
დაიმშვენებს ფეხებს კოხტა წუღებით,
რაც დარჩება, — ჩაბარებს მამასა
ოჯახისთვის, წესით, არა ჩუქებით.
მამა მაზე მეტათ არის ტანჯული,
ეს ძალიან კარგათ ესმის ბაწიას:
ის შრომის ქვეშ მარადის ქედ წარგული
ათასნაირს ხვდება გაწამაწიას.
ამ ფიქრებით სტკება შრომის ახალი,
თუმცა შრომა დღითი-დღე უძნელდება,
მაგრამ იცის, რომ „საქმეს“ დასასრული
აქვს თავისი და ის მალეც დადგება...

II.

ისევ ისე ულეჩაქო თავდია,
ფეხტიტვალი, ტანზე კონკა ძველითა
ისევ შრომობს და ისევ მას შია,
ამ გრძნობის ქვეშ გმინავს ოხვრა-მწველითა.
მძიმე შრომით ვერ ედარსა ის ვერას!
უიმედო და მრავალ ჭირნახული,
სწუველის თავის გაჩენას, ბედის-წერას
დადგრეული, მწარედ გულ-დადგული.
წახდა ჭია! ერთი ბარგიც რას ქვია,
სასიმუშოდ მის თვალს ადარ უნახავს,
ადარც კაბა! ჩუსტიც ფეხთ არ აცვია!
ამაებს ის აწ სიზმარში თუ ნახავს.
მამაც მაზე რადაც სულ გამწყდარია,
სანაც თვალებს რისხვით დაუბრიალებს,
ასე ფიქრობს, თითქოს ამის ბრალია,
ჯიბეებში ფულს რომ ვერ იჩხრიალებს.
მწარე ფიქრებს შეუშერია გოგონა,
ცხარე ცრემლით ივსებს ტურფა თვალებსა,
უფრო კიდევ მან მოჭკლა, დაადონა,
რომ მშობელი მამაც არ იბრალებსა!..

ნ. ზომლეთელი.

ციხიდან.

—

მე თქვენ გიმღერთ ახალ ჰანგებს
შავი ციხის ცხოვრებაზე, —
თქვენც მოაწყვეთ მიძახილი
ნაღვლიან და სევდის ხმაზე.
დავამღეროთ: ციხის სარკმელს
აღარ ხვდება სხივი მზისა,
დაჩაგრულთა კუთვნილება
იგი მტერმა მიითვისა!
ირგვლივ ბნელა ვით საფლავში,
გული ტირის და ღონდება,
დაჩაგრულთა მწარე ხვედრი,
წინ უდგება აგონდება.
გარედან კი გაშმაგებით
ქარი კვნესის, არხევს სარკმელს,
თითქოს რკინას ჩამოსძახის
საპირადო თავის სათქმელს:

. . . . . .

„უსახლკარო და უმწეო
ჩაგრულებო ყველა მარისა,
ერთსულათ და ერთგულათა
დაანგრიეთ ბუდე მტრისა...
ერთმანეთის თანხმობითა
გმირულათ და შეუდრეკლათ,
ვკაფოთ შავი ულრანი ტყე
და დავსძახოთ ყველამ ერთად.
ნუ დაინდობთ ჯოჯოთ ხროვას,
ულრან ტყეში დაბუდებულს,
გზა მიეცით გმირულ ჟინსა,
სევდის გულში დაგუბებულს“...
მე თქვენ გიმღერთ, მაგრამ ქარი
მაწყვეტინებს ჩივილითა: —
დეე იმან დაასრულოს
ეს სიმღერა ტირილითა!..

იასამანი.

სამოქმედოთ მზადება.

აბრუნდი ჩარხო, დაბრუნდი
თორემ გამიხმა პირიმე,
არაყს და ღვინოს შენით ვსვამ
„პაგრომო“ შენი ჭირიმე.

ბ. აპ. სვანიძეს.

(„ეშ. მათ.“ №-28 წერილი გუბის გამო)

რამ გაგამწარა ამ ლდონ
რომ ანიშეშ კირიდე,
დამშვიდდი იგი სხვა არის
სვანიძეკ შენი ჭირიმე.

თუ კი იცანი „ეშმაკის
მათრახში“ რაცა ეწერა,
მაშ, ფიტისათვის რად გინდა
ან ხუტესი ან ტერტერა?

ბატივსცემდათ გიცანი
მოგნათლე „უსტაბაშათა“
და მე ეს მიკვირს „სტუდენტო“
შენ რად მახსენებ ავთა.

დამშვიდდი გული ეჯერე
გაფიტებ ამქარ ძმანებსა
და ჩაუქრიდე ხანდ ხან
დანგრეულ ხარდს, და არდნებსა.

მაშ რას ედები ეორესა
ეს მე ვარ შენი ჭირიმე,
თავი ანებე დანარჩენთ
დადა ის თუ კირიდე

ბატივის ცემით შენი—ტუია.

ბიბლიოგრაფიული განეოფილება

წინა სიტყვაობა ამ განყოფილების შესახებ.

ჩვენ კურთხეულ სამშობლოს მოდვაწეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს ზეგარდმო ნიჭით ცხებულ მოდვაწეებით. სამშობლო ბაზარზე ფიცხლათ და ცხლა-ცხლათ გამოდის ამა თუ იმ ბოეტის გულის სადები, ამა თუ იმ მეპრიზეს ბრიზა დრმა აზრებითა ფენილი, ერთი სიტყვით,—ილია ნაკაშიძის სიტყვით რომ ვთქვათ,—ნაწარმოებნი მკვეთრნი, მკვეთრნი და კიდევ მკვეთრნი. ჰო და ამ მოვლენას ანგარიშის გაწევა უნდა, მწერალთა გულის სადებთ დათვსება ესაჭიროება. ბიბლიოგრაფიული განეოფილების დაარსება ჩვენ ჟურნალში—აუცილებელი საჭიროებაა. ამ დროამდის ეს განეოფილება არ გვქონია. ვასწორებთ ამ ნაკლს, ვთვლით რა მოვალეთ ჩვენ თავს, რომ მკითხველ საზოგადოებას შესანიშნავ ნაწარმოებებზე მივუთითოთ.

ლექსები ნატალია რ. გიგაურისა, გამოცემა მისივე, ქ. ქუთაისი. სტამბა ფერაძისა და კარნაუხოვის. 1908 წ.

აი, ეს აწერია გარედან ნატალია რ. გიგაურის ნაწარმოებს. ვნახოთ რა წერია შიგნით. შიგნით წერია თვით ლექსები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სამშობლოს ცაზე კიდევ გამოჩნდა ერთი ვარსკვლავი, ვარსკვლავი პოეტური. მე მოგახსენებთ ნატალია რ. გიგაურზე. ჩვენ მანდილოსან პოეტთა შორის ნატალია რ. გიგაურს თავის შესაფერი ადგილი უჭერია. რომ მას ეს ადგილი მართლა უჭერია, ამას ამოწმებს მის ლექსთა კრებული. აზრი მკვეთრი, პოეტური დაბლა ფრენა მკვეთრი, რითმები მკვეთრი,—აი ნატალია რ. გიგაურის პოეზია. მიგდეთ ყური!..

ავდექი, მივედ სარკმელთან
გარემოტული ფიქრითა,
გარინდულ-გაუჩებული
დიდხანს ვიჭვრეტდი გარეთა.

ეს ტაეპი ამოღებულია ლექსიდან „შემოდგომა“. ჩაფიქრებით სარკმელთან მისვლა და მერე კიდევ „გარინდულ-გაყუჩებულათ“ მისვლა, თანაც კიდევ „დიდხანს ვიჭვრეტდი“,—ყოველივე ეს განა არ არის განჭვრეტა და მიწვდენა „მკვეთრი“ პოეზიისა?..

აქავეა ჩინებული რითმები:

„გარემოტული ფიქრითა
დიდხანს ვიჭვრეტდი გარეთა“

ფიქრითა, გარეთა.. სჩანს რომ ნ. გიგაური არ არის დარჩენილი პარნასის გარეთა.

აი კიდევ ამავე ლექსის დასკვნა:

ჩემს გულსაც მძლავრად ატოკებს
მრავალ გრძნობათა მორევით!..

მიხატავს ტოტხლათ სურათებს
სევდა - სამო არევიო!..

ვინ არ უნდა მოიხადოს ქუდი ამ „სევდა—სამო არევის“ პოეზიის წინაშე! ჩვენც უნდა მოვხაროთ მის წინაშე ჩვენი მათრახის კუდი, მარა არა იმიტომ, რომ მერე უფრო სწრაფად გავშალოთ და ვცხოთ ნატალია რ. გიგაურის პოეტურ ზურგს.

აჰა ლექსი რომელსაც პოეტი მამის ხსოვნას უძღვნის:

დირსეულ იყავ მოძღვარი
მიმდევარ ქრისტეს მცნებისა,
იკურთხა შენი სახელი
„აქაც და იქაც“—ზეცასა!.

ნატალია რ. გიგაურის პოეზია ებრძვის უსამართლობას. აი რი წაუწერია პოეტს თავის ამხანაგის სურათზე:

მაშ ვიბრძოლოთ დიდსულოვნად
უსამართლობის წინაშე,
უკიყინებდით სულმდაბლათ—
მარტო სიტყვით მოთარეშენ!

ესეც თქვენ „მარტო სიტყვით მოთარეშენო“ და არა ცხენით! მოგცხეს თუ არა!...

ნატალია რ. გიგაურისა თუმცა მებრძოლიც ყოფილა, მარა დიდი პესიმისტაც ყოფილა. მას არ წამს მეგობრობა.

იმას სხვას ეტყვი,—ამას სხვას,
ეპირმოთნები ყველასა..
ამასთანავე,—თუ შენგან
გამოელიან რამესა!..

მაშინ გიცინიანო. ამას დაუმატებთ ჩვენ, თუ გამოელიან განსაკუთრებით ლექსსა ასეთსა მკვეთრსა.

ქვეყანა შურიანია. გასაკუთრებით ამხანაგებს შეშურთ გენიოს ამხანაგების გენიოსება. ასეთი შურიანი ამხანაგნი ჩვენ პოეტსაც ყოლია. მის ამხანაგებს შეშურებიათ ნატალიას მკვეთრ პოეტობა. ამაზე ნატალია გულმოკლულათ წერს:

და თუ კარგი რამ შეგნიშნეს,
რისთვისაც შენ „მართალ“ გაქეს!
შენ სასარგებლოთ რამ ხდება
თუნდა მცირე რამე იყვეს..,

მაშინ, ჩივის პოეტი,—დამიწყებენ ცქერას შურითო და გარიდებენ თვალს შორითო.

ნატალიას, ბუნების დიად სურათების პოეტურად აღწერა, ძლიერ უხდება:

შხაბუნა წვიმა დაუშვა,
ცა შეიმოსა დრუბლებით!
თანაც ხშირი ტეე ხმას აძლევს,
ნადირი გარბის დმუალთ!..

ნატალიას ალლეგორიული ლექსების წერაც სცოდნია; აი, რას ეუბნება ის ზღვას:

მაგრამ დრო ცვალებადია,
ბუნებაც მისი მსგავსია!
დაწყნარდი, გულსა ნუ იმღვრევ
დიდის რიყრაკი შენია!..

აღსანიშნავია ნატალია რ. გიგაურის პოეზიაში კიდევ ერთი საყურადღებო რამ: პოეტი ერთობ ბევრ ლექსებს უძღვნის გარდაცვლილ თავის ნათესავების და მეგობრების ხსოვნას. აი სია იმ გარდაცვლილთა, ვინც ნატალიას მკვეთრმა პოეზიამ უკვდავ ჰყო:

1. უსაყვარლესს და უძვირფასეს ჩემს მამის—დეკანოზ რაჟდენ გიგაურის ხსოვნას.
2. ჩემს საყვარელ დის მაშოს ხსოვნას.
3. ჩემს ძმის კოწიას ხსოვნას.
4. თეო ხელთუფლიშვილის ხსოვნას.
5. კნეინა ელეონორა გურიელის ხსოვნას.

ამ უკანასკნელ ლექსში ცოცხალიც არის ნაქები, სახელდობრ ჯაბა გურიელი:

ამ იმედითა განისვენე უკანასკნელად!
და მაგ იმედსა გაგიმართლებს თვით ფედოსია!
შენი ჯაბა!—გულით მსგავსი ანგელოზისა.
ისიც ხომ შენი შესაფერი,—შენი მსგავსია!

ამ რიგათ ნატალია რ. გიგაურის ლექსები ბევრად მაღლა დგას ღირსებით ცნობილ თავად ესე გურიელის ცნობილ შემდეგ ლექსზე:

ნინო, ნინო!
შეგაჭამე სამი ჯამი ლობიო!..

წარმოიდგინეთ, ნატალიას პოეზია თავად ჯამბაკურ გურიელის უკდავ ქმნილებასაც კი აღემატება. ეს უკდავი ქმნილება ჯამბაკურისა კი შემდეგია:

რადა ჩვენი ნატია,
იმ კატმა მთლად დაგვაქცია,
ზურგზე მოგვკიდა დრანტია,
დაგვძახა ნოგობრანტია!..

ჩვენ ნათელვყავით, რომ ნატალია რ. გიგაურის პოეზია „მკვეთრ“ ღრმა-აზროვანია, „მკვეთრ“ რითმოვანია და „მკვეთრ“ დაბლა-მფრინავია.

ჩვენ აქ არ შეეხებივართ ნატალია რ. გიგაურის „ჰუმორს.“ ამ „ჰუმორზე უთუოდ „მკვეთრი“ ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ახლო მომავალში „მკვეთრ“ ლექციას.

კენტი.

მესტვირული.

მე ვარ და ჩემი ქაბანჩა,—
ჩემი სტვირი, ჩემი გუდა.
მევიარე ეს ქვეყანა,
გავიცანი და გამძულდა.
ბევრი ვნახე, რომ მოვიდა,
იცრუა და აბლაყუნდა,
რომ გეკითხა, საარაკო
ერთობა და ძმობა სურდა.
მარა როცა დაინახა
ორი გროში, რამე, ხურდა,
უცებ ზურგი შეგვაქცია,
უკუ იქცა და გაბრუნდა.
მტერს დაუწყო ფეხის ლოკვა,
შეიცვალა ვით იუდა,
მეზობელის გამცემელი
„დიდებულათ“ დამსახურდა.
აღარ გვზოგავს, კოქებამდის
გაგვატყავა და გაგქვურდა
და არ იშლის ამ ხელობას
თუმც ათასჯერ გაპანღურდა.
ბევრი ვნახე. სამშობლოზე
რომ ყვიროდა და წაყურდა,
თურმე ადგილს დაეძებდა
ჯამაგირი—ფული სწყურდა.
იმ თავითვე ვიძახოდი
რომ სტყუოდა აბდა-უბდა
და სამშობლო, დაგიფიცავ,
არც დღეს მოსწონს და არ უნდა,
მხოლოდ ლუკმა აყვირებდა,
გამოაძღეს და დადუმდა.
ვხედავ ძველი მეგობარი
მოგვშორდა და წალაყუნდა,
ერთ დროს ძმობა შემოგვფიცა
დღეს კი გაგვიუამურდა.
ძმობა მტრობაო შეიცვალა
და ერთობა განადგურდა,
ზოგმა სწორათ თქმული სიტყვა
გაღუნა და გაამრუდა.
გადასცილდა სიმართლის გზას
ვხვეწენ და არ დაბრუნდა.
(როგორც ხედავთ, ეს ქვეყანა,
შეიცვალ ა გადაბრუნდა.)
ზოგი ტყვილათ დამემდურა
შეკუნტრუშდა, აბრაგუნდა
და გაბა მითქმა-მოთქმა
ზოგიც შეხტა დაფხაკურდა.
ზოგს პილ პილა უკამია,
მისთვის ცხარობს და გახურდა,
დროა ამათ რომ მიეზღოს
შესაფერი რა თქმა უნდა
და მათთვის მაქვს მომართული
ჩემი სტვირი, ჩემი გუდა.

ბლიკვაძე.

გაკოტრებული.

(სტენა ქუჩაში)

აგერა მიხა ქუჩაში
მიდის ღრმათ დაფიქრებული:
წინ შეეხეჩა „კვინიხა“,
შერეულ-გაფითრებული.

მიხა. კამარჯობა ძმობილო!
საით მიეშურები?
რატომ ეგრე ვირივით
დაგიშვია ყურები?!

კვინიხა. თუ დმერთი გწამს, კამიშვი,
კამიფუტდა საქმეო,
ვეკარგები, რომ ადარ
მედგომება აქ მეო!

მიხა. მოიცადე, რას ამბობ?
ხომ არა ხარ ნასვამი?

ჭვინიხა. კაცო, გამიშვი მეთქი,
გამიგონე ნათქვამი!
ხედავ უკან მომდევენ,
ის ორსული ქალები;
დამის არის ხელებით
ამოამთხარონ თვალები!..

მიხა. მე მგონია გაწუხებს,
რამე უცხო სენია!
ძმავ, „ბედი-გარიჩკა“
ხომ არ გამოგჩენია!
ვინ ორსული ქალები?
დაულაგდი ჭკუასა,
თავში არა გიურია,
რომ მიგიგავს ბუასა?!

ჭვინიხა. გეფიცები „სინდიასს“
არა ვარ დამნაშავე!
ჩემი ცოლის ბრალია,
თავი რომ გავიშავე!
ეგ დაწეევდილიშვილი,
მომაყრიდა ბეირავით:
„კაცო კასა გავადოთ!“
ჩამატივდა ჭირავით...
მეც გავგიჟდი, მოვკრიბე
დარიბ ხალხის ფულები,
უცებ გამომელია,
მათი მოტემულები.
ახლა მეჩხუბებიან,
რამდენი მაგინებენ.
ზოგი მოკვლას მიპირობს,
ძალიან მაშინებენ!
ეჰ, რა გითხრა მიშაკან,
რა ერთი მოგითვალო,
დამის არის ჯავრისგან
ჭკუაზე შევიშალო!

მიხა. მერე რისთვის აჭევი,
ცოლს, იმ უსირცხვილოსა?
რამდენჯერ დგარიგე,
არ ისმინე შვილოსა!
ნეტა ქალს მაინც გავდეს,
სწორეთ ჯოჯოს ცალია!
წახვალი და ითხოვე,
ისეც ნაქვრივალია!

ჭვინიხა. მაგაში დამნაშავე,
სულ ჩემი მძახალია;
იმის შერთვაც ხომ იცი,
სულ ქანქარის ბრალია!..

მიხა. ესე ძველი ანდაზა,
შენზედ ნათქვამია:
ფართი-ფურთი გაგიცვალ,
დაგრჩა შავი ყამია!..

შმაგა.

* * *

როს თავჩაქინდრულს
და კრიჭა შეკრულს
მე მისი სახე გამახსენდება,
მაშინვე გული
დაძმარებული
იმედის შუქით გასხივოსნდება.
აღარა ვსტირი...
შორს სევდა, ჭირი!
იფანტებიან ფიქრთა გროვანი,
და შვება-ლხენით,
მყობადის რწმენით
ვკაჟდები, ვხდები ძალ გულოვანი!
ის ტურფა სახე,
თუ ვინმემ ნახე,
ხომ თვით ედემის ხატება არის?!
გულწყლულიანის
ადამიანის
წმინდა სამსხვერპლო, წმინდა ტაძარი!
ის ხომ სიტკბოა!!
რა ხომ სითბოა!
ტანჯულის გულის სიამე, შვება!
ის სინათლეა!
ის სიმართლეა!
შეუზღვუდველი თავისუფლება
როს თავჩაქინდრულს
და კრიჭა შეკრულს
ეს ტურფა სახე თვალწინ მიდგანა,
გულს გრძნობა წმინდა
მინთებს და მინდა,
რომ ნეტარებდეს მთელი ქვეყანა!..

ნ. ზომლეთელი.



თავისუფალი ვაჭრობა-მაჭანკლობა ქუთაისში.

ერთი უცხო მოყმე ვინმე
მოგვევლინა ქუთაისში,
მაგისთანა მაჭანკალსა
ვერც კი ნახავთ მუშტაიდში.
ბულვარი სულ მოგვიტკეპნა
ცნობებსა კრეფს დემაგოგი,
გასათხოვარ ბარიშნების
უკან დასდევს მთელი ჯოგი.
აღმა-დაღმა დაყიალობს
საქმროს ეძებს ზოგისთვინა,
თუ რომ ენა წაიგძელა
არ დაიხევს არვის წინა.
არა ერთ-ორ სულელ ყმაწვილს
უცბად ჯვარი გადასწერა,
თავის ურცხვი მაჭანკლობით
ქუთაისი გააშტერა.
ნუ თუ არ იცით ვინ არის
ეს ბიჭი აბდალაია?
თუ ცოლის შერთვა მოგინდეთ
იკითხეთ ბარკალაია.

წერილები ეშმაკისადმი.

თბილისიდან

თფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში 1 მაისს მოხდა სახელოსნოს დაარსების 25 წლის დღესასწაული. სადღესასწაულო პარაკლისის გადახდის შემდეგ გაიმართა დიდებული ნადიმი. ნადიმის დროს მთელ ადმინისტრაციას ღვინო საშინლათ მოეკიდა და როცა ძალაზე გამოიბრუჟენ ვერის ბაღებისკენ გაექანენ ფაიტონებით. წასვლის დროს მათ მიმართა სახელოსნოს კომისიის წევრებმა სემიონოვმა, ნორიამ და ალექსეევმა და სთხოვეს „თქვენ წაბრძანდით“ შემდეგ ჩვენ მოვალთ და ყველა მუშების მაგიერ მოგილოცავთო. რასაკვირველია ადმინისტრაცია დასთანხმდა. დელეგატები ეახლენ, მიულოცეს და შემდეგ მთელი დღე ქეიფობდენ მათთან. ნეტა რომელმა მუშებმა დაავალათ ამ უზურპატორებს მილოცვა?

პატარა ეშმაკი.

—

ძმაო ეშმაკო! შენ ვენაცვალე
ერთხელ ჩვენკენაც გამოიარე,
აზარიანცის ქარხანა ნახეთ
აუცილებლათ შემოიარეთ.
არიან აქა ზოგი მუშები
სმის და თამაშში გამოწრთვნილები
და მას ეტრფიან მუდამ ჟამს მარად
(ოი იმათ კი, ვენაცვალები).
მე, გეფიცები იმათსა თავსა
ტყუილს არ გეტყვი ერთ წვეთს ერთ კაპლსა
ასე ჰკარგავენ სმას და თამაშში,
რაც დარჩენიათ, იმ ცოტა დროსა.
პირველათ ნახე ილიკო გრძელი...
ვით მათი ცენტრი უფროსი „ძია“
რომ გასაშინჯათ შენი მათრახის
მის ზურგზე სცადო რეპეტიცია.
შემდეგ კი ბესო და თვით დუბინა,
მათაც არგუნე შენი წყალობა,
გაუტკაცუნე მათრახის ბოლო
რომ სხვა ხმაზედა იწყეს გალობა...

მაშად ალი,

—

ძალათ მაცხონე.

ალბათ კრიზისის ბრალია, რომ ჩვენი სახალხო მატარებლების კონდუქტორები ძალიან ეტანებიან ამ ბოლო დროს „ბრუციანების“ წაყვანას. ერთ ტყავს კონდუქტორები ხდიან საწყალ მგზავრს და ორს კანტროლი, თუ ხელში ჩაუვარდა (რაც დღეს ხშირია) ყველაზე მეტათ გატაცებულია ნ. კაკაურიძე. ისე გაჯავრებულია „ეშმაკის მათრაზე“ რომ თუ ვინმეს დაუნახა მატარებელში ხელში ეცემა. ამას წინათ მეგზეთეს თუმცა ბილეთი ქონდა, მარა მაინც გადაახდევინა ფული. რა კარგია მათრახის კუდი?

ვ. კ—ძე.

—

კუკიის სასაფლაოს მოიჯარადრეებმა კოლა ბრიგოლ და ლევანტი მიროტაძენმა და გიორგი კერესელიძემ ბლოკი შეკრეს. ძველი მეშები დაითხოვეს და ახლებს აყენებენ, რასაკვირველია ისეთებს, რომლებიც ქრთამს იღებენ.

აქ ვარ.

—

ეშმაკ! ბელინსკი ქუჩისკენ
გადმოიარე ნელ-ნელა,
აქეთა ცხოვრობს დალალი,
ეს მაჭანკალი კეკელა.

გამოქნილ-გამოცვეთილი,
რომ ატყუილებს ქალებსა,
ფულებსა სტყუებს და აძლევს,
„მუცლის წასახდენ წამლებსა“!

ფულს ვიღა ჩივა, ამგზავრებს
რამდენსა საიქიოსა
ასე ცოდვილი ქვეყანამ,
რათ უნდა დაიტიოსა?

„ალმეზა“ ექვსი ფლაკონი,
კუდინი, თუნგ-ნახევარი,
მათრახი ურტყი სამოცი,
კეკესთვის დედის რძე არი!..

მ. ლელაშვილი.

—

პროვინციიდან.

სამტრედია. ბევრი საგულისხმიერო ამბები მოხდა ამ ბოლო ხანებში სამტრედიაში, მაგრამ რომ არ გავაჭიანურო ზოგიერთებს აღვნუსხავ: დავიღუპეთ ფერშალი ხურცილავა მძიმე ავათ გაგვიხდა. ექიმების შემოწმებით „ჩხუბის“ ხველა დაემარ[illegible]ა. გადარჩება თუ არა ღმერთმა იცის. სოფ. კულაშში ადგილობრივ სკოლის მზრუნველთა კრებაზე სიტყვა „ამხანაგის“ ხსენების გამო ვასო ახობაძეს და გიგო გოგუაძეს გული შეუღონდათ. ამავე დღეს იქვე მოხდა ურიების კრება სადაც გაარჩიეს საკითხი კოსტა ახობაძის და ივლიანე შენგელიას მოვალეობის შესახებ. კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც მადლობას უძღვნიან ორივეს ეგზეკუციის კლანჭებიდან გადარჩენისთვის. სოფელ ეწერში ადგილობრივ სკოლის უფროსს ვანო გაჩეჩილაძეს მეტი სიცხისაკან თავი შეუხურდა და თითქო „ბუზარა“ შეჯდომიაო ისე დარბოდა ორ-სამ დღეს. მცხოვრებნი საგონებელში ჩავარდენ, არ იციან როგორ უშველონ. აქაურ ვაჭრების შესახებ ეხლა არაფერს გწერთ, შემდეგ მოვესწრებით.

ჩორთიკ.

საყულიის საზოგადოება. დიდი უბედურება დატრიალდა ჩვენ სოფელში. მარკოზა დაგვიმუნჯდა „ღოლალა დემოღრანიო“ მხოლოდ ამ ორ სიტყვას იძახის. გუშინ მოვიყვანეთ ოპერაციის გასაკეთებლათ რაჭველი მჭედელი და ნაჯახით ენა უნდა მოათალოს. რაჟდენ ხუცესმა მრევლი მოატყუა არ მოგშორდები და დრამასაც არ გადაგახდიებო და იმან რომ საქმე ქნა ენით არ ითქმება. მეაფთიაქე ლეჟავა პურიშკევიჩივით ლანძღავს ფერშალს წამლები ქუთაისიდან რათ მოგაქ ჩემთან იყიდეო. თვითონ კი მამისისხლად ყიდის. პარმენ ნიჟარაძემ „ბაქარა-ხლუსტში“ უკანასკნელი ახალუხი წააგო.

პუჩია

სურამი.

(მამასახლისის სიმღერა)

მამასახლისი მეცავარ
ყელზედა ჯაჭვი მკიდია,
გარყვნილებაში გარწთვნილი
გაიძვერა და ფლიდია.

გლეხებს სულ ტყავი გავაძვრე
გულ-ყელი ჩავილამეო,
ქანქარი ბლომათ იმავსქენ
მიჩივლეს რად შეეამეო.

მაგრამ ყოჩაღათ დავუხვეი
ბიეი ვარ გამოცდილიო,
ვინც რომ მიჩივლა უტირე
დედა, ცოლი და შვილიო.

ხაჩიძე გლეხს რომ ვესტუმრეთ
(ესეც ხო მოსაგონია)
მე და ნემსაძე თუ იცნობთ
მგონი თქვენც გაგიგონია.

პური გვაჭამა, არაყიც
დაგვალევინა ძალზეო,
რაც რომ ებადა მოგვგვართვა
ღარიბულ თვის სუფრაზეო.

როს კუჭი კარგათ გავიძღეთ
ხელში ავიღეთ ხმალია,
ვცემეთ და ვცემეთ ცხვირ-პირში
ლამის ღა სული დალია.

მეორე გლეხიც გავლახეი
ყვლავ ბევრი სხვა გლეხებირ,
რომ არ მიიღონ სტუმრათა
ყაჩაღი რაზმელებიო.

მეორე დღესა ურმებით
გლეხები ექიმს მიგვარეს,
მათი ცოლშვილი სტიროდენ
ცრემლებსა ღვრიდენ მდუღარეს.

მამასახლისი სურამის
მეცა ვარ ჯაჭვი მკიდია,
გარყვნილებაში ნაქები,
გაიძვერა და ფლიდია.

რიჟა.

ალექსანდროპოლი.—აქაური ინტელიგენცია „თავისუფალ ლოთობის ლიგას“ აარსებს. წევრებათ ღებულობენ დახელოვნებულ მსმელებს, წევრი უთუოთ ინტელიგენტი უნდა იყოს. სილოვან ხუკუას „უძღომი“ დაემართა აღარ იქნა ველარ აძღებენ მუშები კვერცხ ქათმებით. როცა საქმელი შემოაკლდება „დურმიშხანობას“ აყოლებს გულს.

სიკო სამტრედიელი.

ოფიშკვეთი.—ჩვენი ეკკლესიის მნათეს 188 მანათი გადასცდა. ძლიერ შეწუხებულია. არა ნაკლებ შეწუხებულია ჩვენი მოხუცი დიაკონი, ისე გადაყრუებულია მოხუცებულობის გამო, რომ აღარც ლოცვა შეუძლია და არაფერი, მარა თითქო ჯვარი დაუწერიაო ეკკლესიას აღარ შორდება. საზოგადოთ ჩვენში ისეთი არაფერი ამბებია რომ გულს ესიამოვნოს. თუ რამე მოხდა შეგატყობინებთ.

ვარლამ ნიკოლაიშვილი.

ს. საჯავახო. ნიგორზღვის მღვდელი ივანე გადაგვერია. აგერ რამდენი ხანია გატაცებით აგიტაციას ეწევა ხალხში მღვდელი უდრამოთ არ ვარგა და მრევლი უმღვდლოთო. შემდეგ აღაპყრობს მაღლა ხელებს და წყევა-კრულვას უგზავნის. ი. გომართელს, გარყვნა საარწმუნოებაო. გარდა ამისა ჭოკნარის და ბაძგრის ახალგაზდობა კარტის თამაშობამ ისე გაიტაცა, რომ ყანებს თავი დაანებეს

და ერთმანეთს თავებს უხეთქავენ მინდვრებში. სადაც არ გაიხედავთ სხედან მწვანეზე და თამაშობენ.

გამქცევი.

—

ფოთი. ჩაგუ ხოქოლავამ და სოგრატ ოკუჯავამ აქ დაარსეს მსხვილ ვაჭართა ტრესტი. მათი უპირველესი მიზანია ფოთის წვრილი ვაჭრები გაკოტრონ და აქედან გააძეონ. ამისთვის არავითარ საშვალებას არ ერიდებიან.

ადგილობრივმა ქალაქის სამმართველომ საჩივარი აღძრა სანდრო გუგუშვილის წინააღმდეგ, რადგან მუდამ ბულვარის სკამეიკებზე სძინავს და მკბენარი გააჩინა.

ვ. ტეხურ-პირელი.

—

ბორჯომი.

ძმაო ეშმაკო, ბორჯომში
სწუხან, ვინც დარჩა უშენო...
კარგს იზამ თუ გულს არ დასწყვეტ
და მათრახს წამოუშენო.

ვინძლო არავინ დატოვო,
ფრთხილად გეჭიროს ოვალები,
ამ ჟამათ ბლომათ ამოძვრენ
ხვრელიდან ბნელი ძალები.

ყოფილსა „გოროდოვოის“
გაზაშვილს გაიძვერასა,
ისეთი სტკიცე მათრახი,—
სწყევლიდეს ბედის სწერასა.

ეს კაცი ქურდებს ბელადობს
და ცარცვა გლეჯას აჩაღებს
და ვაჭარ „კუპრაულასთან“
ამ ნაქურდალებს ასაღებს.*)

ეს კუპრაულა ალექსი
მდიდარია და მსუნაგი,
მაწანწალებს და ბნელ ძალებს
მის დუქანში აქვსთ ბუნაგი.

და კეთილ ხალხს ისევ სდევნის,
„ბუნტოვჩიკს“ არქმევს ყველასა...
შენც ნუ დაუჭერ ასეთ კაცს
ზურგისა ასაწვალასა.

მიხვდეს რომ სიმდიდრესა სჯობს
სინდის-ნამუსის ქონება,
ნუ წუწკობს... ყვლეფვა-გლეჯვაში
ნუ ეფანტება გონება!!

ხინჩლა.

—

თელავი. აგერ რამდენი ხანია თავს ვიტეხდით და ვერ აგვეხსნა რა იყო მიზეზი, რომ 1906—1908 წლებში ასე იმატა თელავში მცხოვრებთა რიცხვმა. ისეთ სახლს ვერ ნახ ვდით, რომ ჩვილი ბავშვის ტირილი არ გაგეგონათ. თურმე ნუ იტყვით მიზეზი სულ უბრალო ყოფილა. კოჭლი ნინოს საქორწინო კასა და ტერ-ტერა გეურქას საორსულო კასა. კოჭლშა ნინომ გამოაცხადა ვინც დაქორწინდება ოცდა ათ თუმანს მივცემო. გაუსვეს ხელი და 50 წლის ბებრებმაც კი შეირთეს ცოლები, თორემ ახალგაზდებს ვინ ჩივა. ეხლა გამოაცხადა ტერ-ტერა გეურქამ, ადა ვინც შვილს გააკეთებს ჩემი კასიდან ათ თუმანში ოც თუმანს მივცემო. გაუსვეს ხელი და ყველამ გააკეთა შვილები. დასასრულ ტერ-ტერამ და ნინომ ჯიბეები გაიტენეს და საწყალ ხალხს კი ბებრებს ცოლები შერჩათ ხელში და ახალგაზდებს შვილები. ესეც საზოგადო მოლვაწეობაა.

ვანელი ბაგრატა.

ერთობის სალი.

კომედია სამ მოქმედებათ.

მომქმედნი პირნი:

სამსონ სულქაძე— რედაქტორი.
ბესო — | თანამშრომლები.
ვიქტორ— |
ტიტიკო ჩაყლაპაძე—რედაქციის გამგე.
სალომე—ახალგაზრდა ქალი.
ხეო კაპიკიანცი—სომეხი ვაჭარი.
მამა ქრისტეფორე—სოფლის მღვდელი.
თედო ფშუტაძე—უმუზო პოეტი.
სპირიდონ—კანტორჩიკი.
სანდრო— | ექსპედიტორები.
ივანე — |
ტრიფონ სვინტუხა—პოლიციის მოხელე.
დიაკვნები, გლეხები, მოსამსახურე და სხვანი.

მოქმედება პირველი.

გამოსვლა პირველი.

სამსონ, ვიქტორ და ბესო.

(სცენა წარმოადგენს დღიურ გაზეთის რედაქციას. ოთახს ორი კარები აქვს. შუა კედელთან ახლო სდგას დიდი საწერი მაგიდა, რომელთანაც ზის რედაქტორი. აქეთ იქით პატარა მაგიდებთან სხედან თანამშრომლები. კედლებზე გაზეთები ჰკიდია. ყველანი მუშაობენ. ოთახში სიჩუმეა, მხოლოდ კალამის წრიპინი ისმის. პაუზა).

სამსონ.—(წერას თავს დასანებებს, კალამს გადასდებს და ხელებს იფშვნეტს) ამისთანა დროს კი რა ვუთხრა! არა ერთი მითხარით რით სჯობია ახლან-

---

*) იხ. „ცხოვრების სარკე“ №-20. კორესპოდენცია ბორჯომიდან.

ხ.

დელი დრო წინანდელს? მართალია, წინასწარი ცენზურა გაუქმდა, მარა ამით ვითომ რაიმე შეღავათი მოგვეცა? სრულიადაც არაფერი. ჩემის აზრით წინანდელი დრო სჯობდა ეხლანდელს. თუ ცენზურა იყო, არაფრის წერა არ შეგეძლო, რასაც დასწერდი და გაუშვებდენ მაინც იმედი მქონდა დაიბეჭდებოდა და გაზეთს არ დაგიხურავდენ. ეხლა? დასწერ რამეს და ღამის თერთმეტ საათზე უნდა ელოდო ი ეხლა მოვლენ და აგვაფორიაქებენო.

ვიქტ.—(წუენით). სწორეთ მაკვირვებს შენი სიტყვები სამსონ! ეს ღმერთმა უკიდურეს რეაქციონერს ნუ ათქმევინოს. რაა ამბობ? რომელი ჭკვათა მყოფელი ადამიანი იტყვის ძველი დრო ჯობდა ეხლანდელ დროსო?

ბესო.—არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ და როგორ დაგავიწყდა სამსონ რა ამბები იყო წინათ. წინათ, რომ სიტყვა „სოციალისტი“ გეხმარა წერილში შენ სიცოცხლეში ვერ ეღირსებოდი მის დაბეჭდვას და ეხლა ცოტათ თუ ბევრათ ვსწერთ საჭირბოროტო კითხვებზე. ახლა „ძირს თვითმპყრობელობაო“ და სხვა ამისთანა შუშხუნა სიტყვები რომ არ იხმარო განა ისე არ შეიძლება წერა?

სამსონ—(გაჯავრებით). არა, ძმაო, თუმცა წერის მხრით შევიწროებული ვიყავით წინათ, მაგრამ ასე ალალბედზე არ იყო დაყენებული გაზეთის საქმე. წინათ მართალია წინასწარი ცენზურა იყო, მაგრამ განა ახლა უარესი არ არის? ეხლა ერთი ცენზორის მაგიერ ათი გვყავს. ყველა ამას, როგორც იქნებოდა გაუძლებდა კაცი, მარა ამ „ერთობის ხალხმა“ სწორეთ საქმე გაგვიჭირა. მეზობელმა რომ მეზობელს ქათამი მოჰპაროს, აქ მორბის გაზეთში დამიწერეო. სოფლის კანცელარია ხომ არ გონიათ ოჯახ დაქცეულებს ან სასამართლო?! (ეშეჯანი იცინიან) დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი. რამ გააგიჟა ეს ხალხი ვერ გამიგია.

ვიქტ.—თქვენ ისა სთქვით ამ ახლათ მოვლენილ პოეტ-ბელეტრისტებს რა ეშველებათ, თორემ „ერთობის ხალხთან“ კიდევ გავაწყობთ რასმე. ვინ გინდათ დღეს პოეტობის საღერღელი არ ქონდეს აშლილი? დასწერს რაღაც ახირებულ ლექსს და თავი ჰიოტე, ან შექსპირი გონია. მოარბენინებს აქ და ვაი შენი ბრალი თუ არ დაუბეჭდე.

ბესო.—შავი ჟამის არ მეშინია ისე, როგორც ერთი პოეტის. რომ შემოაღებს კარებს და მოჭიდავე ხარივით დადგება და დააბრიალებს თვალებს, ასე მგონია ახლა ეცემა ვინმეს მეთქი. იმ დღეს შენსკენ, რომ წამოვიდა, სამსონ, გადავსწყვიტე აგია დაქვრივდა ეხლა რედაქცია, მოგვიკლა რედასტორი მეთქი (ეშეჯანი იცინიან).

სამს.—(ამოიოხრებს). ეჰ! რაც არის არის მეტი რა ჩარაა უნდა ვიმუშაოთ ასეთ პირობებში. დილას აქეთია მოწინავეს ვწერ და კიდევ ვერ გადამიწყვეტია შეიძლება თუ არა გაშვება. აღარ ვიცი სწორეთ როგორ და რაზე დავსწერო. ისე უნდა წერო, რომ მეეზოედან დაწყებული ყველას უნდა მოეწონოს შენი წერილი. მოდი ეხლა და დასწერე რამე. აბა მოდით წავიკითხოთ ერთი და თუ რამე შესწორება უნდა შევასწოროთ. (ბესო და ვიქტორ მიავლენ ახლოს და დახხდებიან, სამსონ აიღებს წერილს და კითხულობს) „რევოლიუციის აზვირთებული ტალღები ძირს დაეშვენ, რეაქციამ ფრთა გაშალა, მთავრობა თავის დამამშვიდებელი პოლიტიკით....

ბესო.—(შეაჩერებს) მოიცა, მოიცა ძმაო, ეს არ შეიძლება. ძალიან მაგრათ არის ნათქვამი, სიტყვა მთავრობა უნდა წაიშალოს.

ვიქტორ.—მეც მაგ აზრის ვარ ყოვლად შეუძლებელია ეს სიტყვა გაუშვათ. უმჯობესია სიტყვა ბიუროკრატია ვიხმაროთ.

ბესო.—დიახ ბიუროკრატია!

სამსონ.—კარგი, თუნდაც ასე იყოს ეგ დიდს არაფერს შეადგენს სიტყვა ბიუროკრატიას ვიხმართ თუ მთავრობას. მე თანახმა ვარ (წაშლის და კითხულობს) მთავრობის სატრაპებმა...

ვიქტორ.—(ხელებს გასავსავებს და შეაჩერებს) ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი. აუცილებლათ გაზეთის დახურვა მოგველის ეს რომ ასე ვაუშვათ.

ბესო.—მართალია. უეჭველად უნდა წაიშალოს.

სანდრო.—(გაკვირვებული) მაშ რა ჯანდაბა დავსწერო, თუ ყველაფერი წავშალეთ რაღა დაგვრჩება? რა ჯანაბაზე დავწერო აღარ ვიცი. დღეს მწვავე კითხაა პოლიტიკური კითხვა, მთელი დღეევანდელი პოლიტიკის მესვეურნი მთავრობა, გენერალ-გრბერნატორები არიან და თუ მათ არ შევეხე, მაშ ვის ჯანაბას შევეხო? ვაქო მაჯი მოქმედება? სატრაპები არ არიან? მაშ სოც.-დემოკრატები ხომ არ არიან? აბა ეხლა მითხარით ცენზურა არ სჯობდა ამგვარ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას?! თფუ! (გაოფურთხებს)

ვიქტორ.—კაცო! თუ გინდა, რომ გაზეთი დაგვიხურონ და ჩკენც ციხეში ჩაგვსვან დასწერე. მე მგონია ჩვენ-უნდა ვეცადოთ შევინახოთ როგორმე გაზეთი. სხვა თუ არაფერი ახალ ამბებს მაინც მივაწოდებთ მკითხველებს და ისიც კარგია.

სამს.—(წუენით) მაშ კარგი. ამ ერთზედაც დაგეთანხმებით და თუ კიდევ წამაშლევინეთ რამე სულ გავანებებ თავს და ის იქნება (კითხულობს) „ცეცხლია და მახვილით დამშვიდებული ხალხი, ფეხ-ქვეშ გათელილი, გალატაკებული ხალხი გმინავს რეაქციის. . . . (ამ დროს კარები უცბათ გაიღება და ოთახში შემოვარდება სანდომე. ეველანი გაშტერდებიან).

გამოსვლა მეორე.

იგინივე და სალომე.

სალომე.—(ტანზე კოხტათ აცვია, ხელში ქოლგა უჭირავს, სიშპატიური მეხედულობისა. შემოაღებს თუ არა კარებს სამიანელი ტირილი აუვარდება დაეშვება იქვე სკამზე, ხელსახოცს თვალებზე მაიფარებს და ტირის) მიშველეთ?... დამიხსენით თუ „ერთობის ხალხი ხართ“! (ქვითინებს. ეველანი გაშტერებული წამოვარდებიან ადარ იციან რა ქნან) მიშველეთ!.. მიშველეთ!...

სამს. — (შეშინებული) ღმერთო ჩემო! რა დაგემართათ! რა გიშველოთ! წყალი ბიჭებო ჩქარა! წყალი!

სალომე. — (ქვითინებს) მიშველეთ!

ბესო. — (მივა ახლოს და შეხედავს. ხელებს იფშვნეტავს, თავისთვის) უჰ! რა მშვენიერებაა, რა ლამაზია, რა ანგელოზია! ღმერთო ჩემო ნეტა რა მოვიდა! რით უშველო? (საშინლათ სწუხს ხან აქედან შეხედავს და ხან იქიდან).

ვიქტ. — (წყალს მოარბენინებს გრაფინაით). აბა! წყალი მიირთვით! იქნება გიშველოთ...

სალომე. — (ტირის) მიშველეთ!.. მიშველეთ!. (ხელს აქნევს წყალი არ მინდა).

სამსონ. — (საშინლათ შეწუხებული აქეთ იქით უტრიალებს, ადარ იცის რა ქნას, თითებს იმტვრევს) რა ოხრობას გადავეკიდე ა'ა'! ღმერთო! ჩემო რა ვქნა. რა დაგემართათ ადამიანო?!

სალომე. — (ტირილით) მიშველეთ! . მიშველეთ! თუ ერთობის ხალხი ხართ! (ტირის).

ბესო. — (საშინლათ შეწუხებული) რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, როგორ ვუშველო ამისთანა მშვენიერ ანგელოზს? (ხელებს იფშვნეტს) რა მშვენიერებაა (მივა და თვალებში ჩახედავს) რა დაგემართათ მშვენიერებავ? რას გაუგმირავს ექვენი გული?

სალომე. — (თვალებზე ხელსახოცს არ იშორებს და ტირის). მიშველეთ!.. მიშველეთ თუ ერთობის ხალხი ხართ!

სამსონ. — (ხელებს კასავსავებს) რა ვუშველოთ!

ბესო. — რა ვქნათ!

ვიქტორ. — რა ვუშველოთ (ეველანი უხერხულ მდგომარეობაში არიან).

სამსონ. — (ბესოს) წადი კაცო, ექიმს დაუძახე, ეს ოხერი აქ არ მოკვდეს რედაქციაში თორემ პოლიციელების სიარული მერე იკითხე.

ბესო. — (მიდის კარებისაკენ) კარგი წ ვალ.

სალომე. — (უცბად წამოვარდება და ტირილით) არა, ნუ მიდიხართ, მე ექიმი არ მინდა, თქვენ ხართ ჩემი ექიმი, ჩემი ღმერთი, ყველაფერი. . მიშველეთ! (ტირის, ეველანი კარს შემოეხვევიან).

სამსონ. — (შეწუხებული) სთქვი ადამიანო, რა მოგივიდა, როგორ გიშველოთ?

ვიქტორ. — სთქვი რა დაგემართათ?

ბესო. — სთქვი რა დაგემართათ და თუ კი შველა შეგვიძლია თავს არ დავიშურებთ.

სალომ. — (ტირის, მიშველეთ! მიშველეთ! თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ!

სამს. — სთქვი ადამიანო რა დაგემართა?

სალომე — (ტირილით) ქმარმა დამტოვა, ქმარი გამექცა.

ეველანი. — (ერთათ) ოჰ! ოჯახი დაგექცა! (ხელებს ჩაქნევენ და თავ-თავიანთ ადგილს დასხდებიან, სალომე დაჯდება რედაქტორის მაგიდასთან და ტირის).

სამსონ. — (გაჯავრებით) შე ოჯახ ამოსაგდებო, ქმარი გაგექცა და მთელი ქვეყანა შეაწუხე გული გაგვიწყალე ამდენ ხანს? არა ეს მოსათმენია?!

ვიქტ. — (იცინის) ბიჭო მე ვიფიქრე რაღაც დიდი უბედურება შეემთხვა მეთქი და თურმე რა ყოფილა?! (იცინის) ახირებულია თქვენმა მზემ.

ბესო. — (იცინის თავისთვის) ეს კი ამბავია. ქმარი გაექცა და რა ატირებს მაგ ოხერს, ამისთანა ლამაზი ქმარს რამდენიც უნდა იმდენს იშოვნის. (სალომეს) გულს რაზე იხეთქთ ქალბატონო, ქმარი გაგექცათ, თორე ქვეყანა ხომ არ დაქცეულა, თქვენისთა მშვენიერი არსება უკეთეს ქმას იშოვის.

სალომე — (გაჯავრებით) არა მე სხვა ქმარი არ მინდა. მე ჩემი კანონიერი ქმარი მინდა.

სამსონ. — (გაჯავრებით) მერე ჩვენ რა უნდა გიშველოთ ადამიანო? აქ სინოდალური კანტორა ხომ არ არის?! დიდება შენთვის ღმერთო?! ქმარი გაექცა და აქ ჩვენთან მოდის რედაქციაში?!! არ იცით რომ აქ გაზეთის რედაქციაა?!

სალ. — (ტირილით) ვიცი რომ რედაქციაა და კიდეც იმიტომ მოვედი. თქვენ ერთობის ხალხი ხართ და მიშველეთ რ.მე?

ვიქტ. — (სიცილით) რა უნდა გიშველოთ ადამიანო?! ჯვარი დაგწეროთ კიდევ თუ?

სალ. — (ტირილით) ადამიანები არა ხართ? მაშრის ერთობის ხალხი ხართ თუ ასეთ დროს არ მიშველეთ?

სამს. — (წამოდგება მოთმინება დაკარგული) არ იტყვი ადამიანო რა კინდა ჩვენგან? ვერ გამიგია რა უნდა გიშველოთ?! რა გნებავთ? რაზე მობრძანებულხართ? გითხარით რომ აქ გაზეთის რედაქციაა და ცოლქმრობის საკითხს არ არჩევენ. ამისთვის სინოდალური კანტორაა და იქ მიმართეთ, ან პოლიციაში ან კიდევ სუდში.

სალ. — (ტირილით) მე პოლიციასთან და სინოდალურ კანტორასთან საქმე არ მაქ, მე ბიუროკრატი არა ვარ. მე ერთობის ხალხთან მაქ საქმე! თქვენ ერთობის ხალხი ხართ და იმიტომ მოგმართეთ. მიშველეთ!

სამს. — (მოთმინებიდან გამოსული). სთქვით, სთქვი რა გიშველოთ?

სალ. — ჩაწერეთ გაზეთში, ის მე გამექცა, რომ ეს ზნეობის წინააღმდეგია რომ ის უნდა დაბრუნდეს და არ დამტოვოს. (ეველანი ხარხარს დიწყებენ. სალომე წამოვარდება ზეზე, ქოლგას იქნევს და გაჯავსებული). რა გაცინებთ! ეს გეკადრებათ ერთობის ხალხს? დამცინით ასეთ უბედურების დროს?

სამს. — (კარებისკენ უჩვენებს) გთხოვთ მიბრძანდეთ, ჩვენი გაზეთი „საქორწინო გაზეთი“ არაა. წაბრძანდით და თქვენ თვითონ მოელაპაკოთ თქვენ ქმარს.

სალ. — (ენერგიულათ) ჯერ გთხოვ და მერე მოვითხოვ უეჭველად დამიბეჭდოთ. თქვენ თუ ერთობის ხალხი ხართ, მეც ერთობის ვარ, მე მოვითხოვ ამ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდოს ჩემი გაჭირვება, გაიგონ ყველამ რომ ქმარი ასე უსინდისოდ მომექცა. გაიგოს საზოგადოებამ მისი საქციელი იქნება შერცხვეს და დაბრუნდეს.

სამს. — (მკაცრად) გთხოვთ მიბრძანდეთ! ნუ გვიშლით.

სალ.—(ყინიანათ. ქოლგის ტარს წაკრავს მაგიდაზე ქალალდებს) მე მოვითხოვ, რომ დამიბეჭდოთ. არ წავალ აქედან, არა, არა. (ტირის).

სამს. — „უკანასკნელად გთხოვთ ზრდილობიანა „ მოიქცეთ და მიბრძანდეთ.

ბესო—(ალერსიანათ) მშვენიერებავ! ეხლა ჩვენ არა გვცალია და მიბრძანდით. თქვენს მზერას არაფერი გვირჩევნია, მაგრამ საქმე გვაქვს. შემდეგ შეგიძლიათ სამედიატორო სამართალში გამოიწვიოთ. თუ გნებავთ მედიატორეთ მე დაგიდგებით.

ვიქტორ.—გთხოვთ მიბრძანდეთ!

სალ.—(გაჯავრებული. ტირილით) მაშ, თქვენ არ გინდათ ჩემ გაჭირვებულ მდგომარეობაში შეხვიდეთ. კიდევ ამბობთ რომ ერთობის ხალხი ვართო? ეს არის ერთობა? (ტირილით მიდის კარებისაკენ) ღმერთო! ღმერთო! რა ვქნა, როგორ დავიბრუნო ჩემი კოტიკი!! (გაბრაზებული გაადებს კარებს და გამგეს დაეჯახება. გამგე გაოცებული განზე გახტება და რა დინახავს მტირალე სალომეს ბირზე ხელს მიიფარებს და გულიანათ იცინის, ეველანი იცინიან).

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)

ჰასუხები.

ჩვენმა კორესპოდენტებმა ხმა ამოიღეს და საპასუხო წერილები ნულ ნელა მოგვდის. ვბეჭდავთ აქ რამოდენიმეს:

„ბ. დათიკო კვანტალიანს ალბათ სიზმარში თუ მოელანდა, რომ მე ის „ეშმაკის მათრახში“ გავლანძღე. ალბ მომითითოს რომელ ნომერში იყო. იქნება გაიგო, რომ ვაბირებ მის შექებას და დამასწრო. ჩემი ბასუხი ჯერ-ჯერობით ეს არის.

ალაგეთური.

მაშ საიდან მოელანდა დათიკოს, რომ ის „ალაგეთურმა“ გალანძღა?!

—

„მოგახსენებ ბ. ეგგენ ქუთათელაძეს შემდეგს: ერთ დღეს სამტრედიის სადგურის ახლო მოვიდა ვიღაც კაცი და მეეტლეებს დაუწყო ! ხუბი რათ გვეცილებით ხანისაკენ წასაყვან მგზავრებშიო, ამ საქმით ოთხი კაცი იღუბებაო. ჩვენ ვიაკვიო ხონში დელეგენების ბატრონები და თხოვნით მივმართეთ ეგგენ ქუთათელაძესო. მან გვიბასუხა ამ საქმეს ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს და შეიძლება ოთხი კაცი დაიჭირონო. რამდენიმე ხნის შემდეგ მართლა მოინდომა ბოქაულმა ოთხი კაცს დაჭერა, მაგრამ თავდებით განთავისუფლეს. ამ ამბის მოქმელი იყო ბორეილე ბაბაგა. დეე ეგგენმა და ბაბაგამ იტეხონ ეხლა თავი მე ეგგენთან ვსწეგეტ ეოველიგე კამათს.

„შეკოლიე“

ვნახოთ ეგგენი და პორფილე როგორ მორიგდებიან.

—

„დიმიტრი ტეტხლაძეს! თუ მაინტა და მაინტ გსურთ სამედიატორო სამართალი, დიდის სიამოვნებით. ჩემის მხრით მედიატორეთ იქნება ს. ტიხის მტხოვრები მიხაილ გიგოსაძე შარაშიძე.

—ბ.

ვნახოთ რით გათავდება დიმიტრის და—ბ-ს სამართალი.

—

სერგო კოვზირიძე სამედიატორო სამართალში მიწვევს. რა უნდა გამოსარკვიოს მედიატორებმა? ის რომ სერგოს დუქანში კარტ ნარდ-ბილიარდს არ თამაშობენ მუშები? ამის შესახებ „ეშმაკის მათრახის“ გარდა „ნაბერწკალშიც“ იყო წერილი? ეს ხომ ყველამ იცის, რომ სერგოს დუქანში ასეთი ამბები ხდება?

შორაპნელი,

ჩვენის აზრით, რაკი სერგო კოვზირიძეს სურს „შორაპნელი“ უნდა დათანახმდეს სამედიატორო სამართალზე.

—

თქვენი ეშმაკის მათრახის“ 32 №-ში მოთავსებულია ათი სასაუველურო წერილი, ცხრა მათგანი ერის კაცისაა, ერთი კი ხუცის ნიკიფორე ბარაბაძის, რომელსაც დანძვა გინებაში, როგორც წერილიდან ჩანს, ვერც ერთი ერის კაცი ვერ შეედრება. დანარჩენი ცხრა წერილი რომ შეაერთოთ ერთად იმდენი დანძვა არ იქნება, რამდენიც ამ ავეია ხუცეს უკადრებია, მარა რა ვუყოთ ალბ რით უნდა გაირჩეს ერის კაცი ხუცისგან? „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებაა“ ეს ერთი. მეორე ის წერს 30 წვეთი სპერმაგუდინი მომაწოდეთო. საიდან სადა, წმინდა სანაო? მე აკი განსაზღვრული წვეთები არ მიმიწოდებია მისთვის (ალბათ ხუტებზე 30 წვეთი მოქმედებს! это надо запомнить!) მესამე. მიკვირს რათ არ ასახელებს მედიატორეებს „ისიც დრამისათვის“ ბოლიციაში არ მოსიარულე ხუტესა? წინადადება მიეცით დანიშნოს თავის მედიატორე (მე მასთან ბირადათ მოლაბარაკების სურვილი არა მაქვს) და თან დათანახმდეს, რომ განაჩენი გაზეთში გამოქვეყნდეს. მე ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ ნიკო გიორგის ძე ჩამაკაძეს.

დავთვები შენი „ეშმაკუნა“

ვნახოთ მღვდელი ნიკიფორე რას იტყვის!



საყვედურის წერილები.

ჩვენი მათრახით „შეამოსქნილებული“ ხირები არ სცხრებიან და წერილები წერილებზე მოგვდის:

„ბ. რედაქტორო!“ სწერს ერთი—თქვენი ჟურნალის 30 №-ში მოთავსებულია შემოქმედიდან „ჩაქუხელის“ წერილი, რომლითაც ის მე ჩირქს მცხებს. რისთვისაც ვიწვევ სარედიტორო სამართალში. მედიატორეთ ვნიშნავ მათე გოლიაძეს. პასუხი მომცეს ორი კვირის ვადაში.

ვასილ კარეგიშვილი.

ჩვენი აზრით „ჩაქუხელმა“ ორი კვირის ადრე უნდა ამოიდოს ხმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭექა-ქუხილი ჩვენი ნახოს.

—

კორესპონდენტი „ბრატიშკა“ მე შავრაზმელს მეძახის, დამმტკიცოს ყველა ეს სამედიატორო სამართლით. თქვენ კი გთხოვთ აუცილებლათ გამაგებინოთ მისი ნამდვილი ადრესი და ვინაობა.

პლატონ წორდავა.

ადრესის და ვინაობის შეტყობინებაზე ნურას უკვირავთ. სამედიატორო სამართალში უნდა გამოგვეგზავნოს მეტი რა გზა აქვს.

—

„სასტუმრო ბორჯომიდან „განდევნილი“ თავის წერილში ჩირქსა მცხებს. ვიწვევ სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ვნიშნავ მიხა კაპარავას და სპირდონ მკერვალიძეს. თუ არ გამომყვა რედაქციამ გამოაცხადოს, რომ ის შეცთომაში შეიყვანეს“.

ევგენი პერტენავა.

ჯერ ვნახოთ რას იტყვის „განდევნილი“ და მერე ჩვენ სხვა ხასუხს გავცემთ.

—

„ვიღაც „ეხო“ თავის ლექსში ყვარელიდან ჩირქსა მცხებს. მოვითხოვ აიხადოს ნიღაბი და გამომყვეს სამედიატორო სამართალში, რომლის განაჩენი გაზეთებში უნდა დაიბეჭდოს“.

დ. როსტომაშვილი.

„ეხო“ უკან არ დაიხევს, ხოლო ნიღაბის ახდაზე კი ძალას ნუ დაატანთ.

—

„თქვენი ჟურნალი „ეშმაკის მათრახის“ 30 ნომერში მოთავსებული იყო წერილი შემოქმედიდან. ბ-ნ „ჩაქუხელისაგ“ ვითომც იქ შემდგარიყოს ახალი პარტია მირიანისტთა და ლიდერიც მე ვიყო. ამ დღეებში კონფერენციაც გვქონიყოს და პროგრამაც შეეფუშავებიოს ეხლა მხოლოთ თქვენი მათრახის კუდი მაკლდეს.

ეს წერილი მე პირადათ შეურაცხყოფას მაყენებს და თან პროვოკატორული სუნიც ასდის. და ამისთვის ვთხოვ ბატონ ჩაქუხელს გამომყვეს მედიატორულ სამართალში და დამმტკიცოს რომ მე ახალი პარტია შეეადგინე თავის ახალი პროგრამით. ჩემის მხრით მედიატორეთ ვნიშნავ ამხ. გიორგი კვაშალს და ვანო ხავთასს და ვადათ უნდა ამ წერილის გამოცხადებიდან ერთ კვირას და თუმც ბ-ნი ჩაქუხელი არ ინებებს მედიატორულ სამართალში გამოყოლას მაშინ ნება მექნება უწოდო მას საძაგელი პროვოკატორი და მაბეზღარა. მათრახის კუდი და სპერმაკუდინიც მასვე დასჭირდება ჭკუაზე მოსაყვანათ რომ კვლავ არ განიმეოროს ასეთი პროვოკატორობა“.

მირიან ალექსანდრეს ძე აბაშმაძე.

„ჩაქუხელს“ ორი მხრით სჭირდება ხასუხის გაცემა და ვნახოთ რას იზამს.

—

„ეშმაკის მათრახის“ მე 29 ნომერში, მოთავსებულია ლექსთ ბ. ტურასაგან რაღაც ყურმოკრული ჭორები, ვითომც მე მუშტების ქნევით უმასპინძლდებოდე ჩემს საზოგადოების გლეხობას და შემდეგ სამიკიტნოში ისევ ღვინის წყალობით ვრიგდებოდე, ძრიელ შემცდარია ბ. ტურა ტყუილის და ცილის წამების მოგონებით.

ვიწვევ „ტურა“-ს სამედიატორო სამართალში, მედიატორეებს დავასახელებ მაშინ როდესაც ბ. ტურა პასუხს მომცემს გაზეთის საშუალებით.

სარფიტალის საზოგადოების მამასახლისი

ნიკო ბარძიმაშვილი.

ტურა, ხასუხს გასცემს მეტი რა გზა აქვს

„ეშმაკის მათრახის“ ფოსტა

ფოსტი—Столѣ-ს დიახაც რომ საქებურია თუ მაქაური ვაჭრები ჟურნალის გამოცემას აპირებენ. ალხაზოვის ცულლუტისტობა გაგვიგია და კაი პუბლიცისტი იქნება, რუხაძე და ქ-იც კი მწერლები არიან. ეტყობა ჟურნალი საინტერესო იქნება. რაც შეეხება მაქაურ „ბურეულიებს“ და ერთ „ქარბატონს“ იმათზე ლაპარაკიც არა ღირს. ლექსსაც ვერ ვბეჭდავთ რადგან.....

ბაძო—ნორდს. თქვენი შეგნებული ამხანაგები სწორეთ რომ გასაგათრახებელი ყოფილან და როდისმე მათთვისაც მივიცლით. ცოტა დაგვაცადეთ.

ბათომი— ვითომ კენტს—სხვისი ფსევდონიმის მითვისებისთვის ერთ კაი მათრახს მოგაყოლებთ. თქვენი წერილი მივიღეთ. „ამ კვირამდე დაბეშტეთ“ გვწერთ. ტყუილი რომ გითხრათ ვერ „დაგიბეშტავთ“.

ჯუმათი—შემთხვევით დამსწრეს. „ყველა წესიერების დამრღვევი გაგვიმათრახეთ“ გვწერთ. ეს ადვილი საქმე ნუ გგონიათ. მაშინ ვინღა დაგვრჩება გაუმათრახებელი? ჯუმათიზა სადა გვცალია ასეთ გახურებულ დროს.

სევასტი მთისპირელს——„დღევანდელი სიცოცხლე რა არის? (სათემაშო ნივთია.) ის ტანჯვაა, როგორც ციხე მოწამლულია. ჩვენ ვშრომობთ გასუფთავებლივ დღის დროი განურჩეველია.

ვერ გავიგეთ ლექსია თუ პროზა ეს თქვენი ნაწარმოები. ამიტომ არ იბეჭდება.

ყვირილა—კრიპიჭას. „ვისაც რა უნდა უყვარდეს
სულ სვია ჩვენი ტრფიალი;
გვიყვარს ქალებში არშიყი
კეკლუცობა გვერდით ტრიალი.

ლექსი სან ქებია, მარა გვიკვირს რას თხოულობთ ჩვენგან თუ ტრიალი გიყვართ იტრიალეთ წადმა უკუღმა და იყავთ.

პატიმარს—ლექსი არ დაიბეჭდება, ვინიდან, რედაქტორს ჯერ არ სურს დასვენება.

ხონი—უბედურს. ბულს რაზე იხეთქავი, ნოქრები ღვინოს ალუნწავენ და კავშირი დაიკიწყესო, დეე დაივიწყონ, როცა თვითონ მათ მოუნდომებენ გადაყლუნწვას მაშინ გაახსენდებათ.

კუხი—კირილე გუბელს. თქვენი ლექსი ერთობ გაპიანურებულია და ამიტომ არ იბეჭდება.

გუჯუს—„ძმაო ეშმაკ მე ამით გთხოვ
თუ კუდინი ბლომათ არი.
გაუგზავნო გუბელ ლუბას
და არ სთხოვო მას ქანქარი.

ბევრი ქანქარიც რომ მოვგვცეს ლუბას წასახდენი სპერმაკუდინი ჩვენ არა გვაქვს.

კინტურაშვილს—თქვენი მოკითხვის ბარათი მივიღეთ, გმადლობთ. მოკითხვის ბარათი, რომ ჟურნალში მოვათავსოთ არც თქვენთვის იქნება სასიამოვნო.

სუჯუნა—დონ-კიხოტს. „აფთექარი სიმონიკა დაგრჩათ გაუმათრახებელიო“ გვწერთ. თქვე დალოცვილო რამდენ სიმონიკა დაგერჩა ყველას თუ მივყეთ ხელი მათრახის ქნევის მეტს ვეღარას გავაკეთებთ, თუ მაინც და მაინც ის ვიღაცა სიმონიკაა საზღვარს გადააჭარბოს. ნივრიანი მდუღარე წყალი გადააყლაპინეთ ოცი წვეთი.

ოზურგეთი—წყავზარაძის ქვრივმა ბეოლი მოიპარაო. აბა რა დასაბეჭდია?!

აბაშის საზოგადოება—ტანია ბ-ის. თუ დრო დაგვირჩა თქვენებურ ახალგაზდებს მივაწვეთ მათრახის კუდს.

ჯუარუყვეთი—კონწარახს. ბურული სცენა არ ვარგა.

ფოთი—შაშას. საგულისხმო არ დაიბეჭდება.

იძიდანვე—ელისაბედიშვილს. არ დაიბეჭდება

ვანო ბოკერიას—წყალ-წაღებულ სოფლელებზე ლაპარაკი აღარ ღირს. არ დაიბეჭდება.

ღარიბის შვილს—არ დაიბეჭდება.

ნატანები—ფიწმარიტს. ივლიანე სიხარულიძეს და მის თანაშემწე დარისპან ცერცვაძეს ორმოცი „როზგი“ დაკარით და მერეც თუ არ მოკეუიანდენ გაგვაგებინეთ.

ღანირელს—ეგ თქვენი „გურული და მეგრელი“ ვერაფერი შვილია.

ბალაჯარა—ღანირელის ძმა პ. თ—ს. ბალაჯარაში თითქმის ყველას შევეხეთ ჩვენი მათრახის წვერი და სულ მუდამ თქვენთვის ხომ არ მოვიკლით?

კესარიაშვილს—იმერლის მოგზაურობა და ედისონის მომღერალი მანქანა არ დაიბეჭდება. თუ დროზე წაიღებთ ორიგინალს შევინახავთ თუ დააგვიანეთ მერე პასუხს არ ვაგებთ.

რედაქტორ-გამომცემელი თეოფ. ბოლქვაძე

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლალიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—2)



წესიერების დამცველი სიცხის დროს.

ელექტრომბეჭდავი, ამხ. „ზრუმა“ რუსსკაია ქ. №3.